ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 17 – 18 დეკემბერი, 2016

№299 (7224)

ფასი: 50 თეთრი

აფხაზეთი: ოპოზიციამ თანამდებობები მიიღო

გვ.4

16 დეკემბრიდან ნოდარ ასათიანი

საქართველოს ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



„ქართული ოცნება“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ

გვ.3

ზაქარია ქუცნაშვილი: „დაასახელეთ ის პროდუქცია, რომელიც გაიაფდა“

გვ.2

პატრიოტთა ალიანსი პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს

„არ გამოგივათ, ჯიგრებო, ასე შეხმატკბილება და ჟღურტული!“

ჯონდი ბაღათურია: „მთავრობას ვურჩევ, არ გააძვიროს აქციზის გადასახადი საწვავზე“

გვ.4

ლია ელიავა: „საქართველოდან კაპიტალი გარბის“

გვ.6

ISSN 1987-9385

„ლარის მცურავი კურსი ქვეყნისთვის დამღუპველია“

კონსტანტინე გამსახურდია: „ახალი კონსტიტუცია რაც შეიძლება მეტი ადამიანის უნდა იყოს“

გვ.2

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „სირიაში ისლამური ხალიფატი გაძლიერდა“

კონსტანტინე გამსახურდია: „ახალი კონსტიტუცია რაც შეიძლება მეტი ადამიანის უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში არასაპარლამენტო ოპოზიცია უნდა იყოს წარმოდგენილი.

– ბატონო კონსტანტინე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიმართ როგორია თქვენი მოლოდინი, რამდენად შეძლებს ეს კომისია საჭირო ცვლილებების შეტანას კონსტიტუციაში?

– მე, პირადად, პირველი რიგის ამოცანად კომისიის სათანადოდ დაკომპლექტება მიმაჩნია. თუ კომისია არ იქნა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული, სულ ფუჭი მუშაობა იქნება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ერთ პარტიასთან, რაც უნდა მას საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდეს პარლამენტში, არ შეიძლება ქვეყნის მთავარი კანონი იყოს ასოცირებული. არ შეიძლება მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მიიღოს და დაწეროს კონსტიტუცია.

– ფართო კონსენსუსზე საუბრობს „ქართული ოცნება“.

– გასაგებია, რომ ასე საუბრობს, მაგრამ რეალურად ვნახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები, მაგალითად, პრეზიდენტთან დაკავშირებით. პრეზიდენტის ინსტიტუტი არ იღებს მონაწილეობას კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებაში. ეს ძალიან ცუდი ფაქტია.

ფართო საზოგადოების წარმომადგენლობის მონაწილეობა უნდა იყოს კომისიაში უზრუნველყოფილი. წინაღმდეგ შემთხვევაში, ვშიშობ, რომ მართლაც არ გახდეს ერთ პარტიასთან ასოცირებული ეს ცვლილებები. ამიტომ მმართველმა ძალამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ რაც შეიძლება მეტი ოპოზიციის წარმომადგენელი იყოს წარმოდგენილი.

– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციიდან ის პარტიები იქნებიან წარმოდგენილი კომისიაში, ვინც 3% გადალახა. დაახლოებით 200-მდე პარტიაა დარეგისტრირებული და, როგორც უმრავლესობა ამბობს, ყველა ვერ იქნება მიწვეული. ეთანხმებით?

– ამ შემთხვევაში ნამდვილად ვეთანხმები, მართლაც ყველა ვერ იქნება წარმოდგენილი. რაც შეეხება იმას, ვინც 3% გადალახა, ის იქნება მიწვეული. ეს ცუდი წინადადება არ არის, მაგრამ კოალიციების შემთხვევაში მხოლოდ ერთი კაცი უნდა იყოს კომისიაში? ეს ყველაფერი დასაზუსტებელია. მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანის იყოს კონსტიტუცია.

– რა ცვლილებებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი?

– კარგი იქნება, თუ ორპალატიან სისტემას შემოვიღებთ. ერთ პალატაში იქნებიან მაჟორიტარები, მეორეში – პროპორციული სიით არჩეულები. ეს ბევრ პრობლემას მოხსნიდა. ის სისტემა, რომელიც 1990 წლიდან მოქმედებს, ორპალატიანი პარლამენტის შემოღებით დასრულდებოდა. ეს არ ნიშნავს ფედერალიზმს. ეს ნიშნავს უფლებამოსილების დელეგირებას რეგიონებზე. არ შეიძლება, ქვეყანა თავკომბალას დაემსგავსოს. ქვეყანას უნდა ჰყავდეს ძლიერი, მაორგანიზებელი ცენტრი ძლიერ რეგიონებთან ერთად.

– პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა უნდა დარჩეს?

– დიახ, უნდა დარჩეს. არ შეიძლება, პარლამენტმა პრეზიდენტი დანიშნოს. ასეა გერმანიასა და ისრაელში, მაგრამ ჩვენთვის ეს არ არის მისაღები. ეს არის რესპუბლიკური პარტიის მოდელი. მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი წიაღიდან გააძევა რესპუბლიკური პარტია, მაგრამ ზუსტად ისევე აზროვნებს, როგორც რესპუბლიკური პარტია.

ირაკლი კობახიძე: „პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ჩაერთოს კანონშემოქმედებით საქმიანობაში“

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე პრეზიდენტს მადლობას უხდის კონსტიტუციის გადასინჯვასთან დაკავშირებით მის მიერ შეთავაზებული ფორმატისთვის, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გიორგი მარგველაშვილის წინადადება მოქმედი კონსტიტუციის ლოგიკის საწინააღმდეგოა.

როგორც კობახიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესის საპრეზიდენტო ფორმატში წარმართვა, რასაც, კობახიძის შეფასებით, პრეზიდენტის ინიციატივა ითვალისწინებდა, კონსტიტუციის არსებით ლოგიკას არ შეესაბამება.

მისი თქმით, პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ფორმატის თანახმად, ის დომინირებდა კანონშემოქმედებით პროცესში, რის შესაძლებლობასაც საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს.

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის ფორმატი არსებითად საპარლამენტო ფორმატი უნდა ყოფილიყო.

– 2010 წლამდე პრეზიდენტს ჰქონდა ზოგადად საკანონმდებლო ინიციატივისა და საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების უფლება. 2010 წლის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ პრეზიდენტს ეს უფლება აღარ აქვს. გამომდინარე აქედან, მას არა აქვს უფლება, ჩაერთოს კანონშემოქმედებით საქმიანობაში. ეს არის პრინციპული დებულება, რომელიც ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ინტერპრესნიუსი

იუსტიციის მინისტრი 200-მდე თანამშრომელს სამსახურიდან ათავისუფლებს

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი არ გამორიცხავს, რომ იუსტიციის სამინისტროს 200-მდე თანამშრომელი, დაგეგმილი რეორგანიზაციის ფარგლებში, სამსახურიდან გათავისუფლდეს.

– იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დაახლოებით 5.000 საჯარო მოხელეა და, გამორიცხული არ არის, რომ მათგან 200-მდე ადამიანი ან უფრო ნაკლები სხვადასხვა სსიპ-დან რეორგანიზაციაში მოყვეს, რომელიც ჯერ არ დაწყებულა. როდესაც რეორგანიზაცია დაიწყება, პროცესი იქნება გამჭვირვალე, – განუცხადა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა.

მინისტრის ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროში ადმინისტრაციული ხარჯები 13-14%-ით შემცირდა, თუმცა უწყებაში ხელფასების შემცირება არ იგეგმება.

– ძალიან ბევრი ვაკანსია უქმდება, მაგრამ იქ, სადაც ეს გამართლებულია. იმ დეპარტამენტში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს იცავს ჰაააგის გამოძიების პროცესში, ვაკანსიები შენარჩუნდა და არაფრის ფასად არ გაუქმდება. იქ, სადაც იყო შესაძლებლობა, ასეთი ვაკანსიები გაუქმდა. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გამომძიებლების რამდენიმე ვაკანტური პოზიცია ჰქონდა, რაც გაუქმდა, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

პირველი

პატრიოტთა ალიანსი პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს

„არ გამოგივათ, ჯიგრებო, ასე შეხმატკბილება და ჟღურტული!“

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსი ნაციონალებსა და „ქართულ ოცნებას“ უპირისპირდება და პარლამენტის სხდომების ბოიკოტირებით იმუქრება.

პატრიოტთა აღშფოთების მიზეზი ამჯერად პარლამენტის მუდმივმოქმედ დელეგაციებში დეპუტატთა კვოტირებაა.

პარტიის ერთ-ერთ ლიდერ ირმა ინაშვილის თქმით, ევროპულ დელეგაციებში, მათ შორის ეუთოში, ისინი წარდგენილნი არ არიან.

– საერთაშორისო დელეგაციაში ჩვენ არ ვიქნებით წარმოდგენილი და რჩება მხოლოდ ორი პარტია, ორი შეხმატკბილებული პარტია. თუ არ გვექნება საშუალება, ამ დელეგაციებში ვიყოთ სრულფასოვნად წარმოდგენილები, არავითარი აზრი არ აქვს პარლამენტის სხდომებში მონაწილეობას და ჩვენ ახლა ვყალიბდებით იმაზე, რომ გამოვაცხადოთ ბოიკოტის რეჟიმი და არ მივიღოთ მონაწილეობა პარლამენტის სხდომებში, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირმა ინაშვილმა.

„ქართულ ოცნებაში“ პატრიოტების პრეტენზიებს არ იზიარებენ. მათი განცხადებით, გადაწყვეტილების მიღება კანონის შესაბამისად მოხდა. მეოცნებეები იმასაც ამბობენ, რომ თავიდან ამ საკითხზე ალიანსს პრეტენზია არ ჰქონდა.

– ჩვენ ვმოქმედებთ კანონის სრული დაცვით. გარკვეული დამატებითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვს ჩვენგან პატრიოტთა ალიანსი. პატრიოტთა ალიანსს იმ კვოტის ფარგლებში, რაც არის დადგენილი რეგლამენტით და გამომდინარეობს კანონიდან, ეკუთვნის 4 ადგილი. პირველ ეტაპზე მათ თანხმობა განაცხადეს, თუმცა მოგვიანებით შეცვალეს პოზიცია. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, გავითვალისწინოთ ოპოზიციის მოსაზრებები, – განაცხადა ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა.

ალიანსელების დაჩაგვრას პარლამენტის გარედან პარტიის წევრი ლადო სადღობელაშვილი აპროტესტებს.

მისი თქმით, ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობასთან შეთანხმებულად მოქმედებს, ხოლო მესამე ძალა, პატრიოტთა ალიანსი, ნაცქოცურ გეგმაში ვერ ჩაჯდა.

– საოცრებათა ქვეყანაში ვცხოვრობთ – თითქოს თავიდანვე არ იყო გათვლილი ადგილი პატრიოტთა ალიანსისთვის პარლამენტში! თითქოს მანამ, სანამ ახალი პარლამენტი შეიკრიბებოდა, უკვე ყველაფერი გავლილი და გადანაწილებული იყო... და ამ დროს შემთხვევით ზოგიერთებისგან დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად პარლამენტში აღმოჩნდა ძალა, რომელიც ქოცნაცურ გეგმაში არ ჯდება!

რას იზამ, უნდა შეეგუონ ზოგიერთები! ამ დროს ჩნდება მეორე პრობლემა, გავუნაწილოთ ადგილები კომიტეტებში, დელეგაციებში, კომისიებში და ა.შ... თუმცა აქ ხომ თავიდანვე შეთანხმება ორ პარტიას შორის იყო და ამ მესამე ძალას რა ვუქნათ? მოდით, მივჯირყვნოთ!!! ასეთია ვერდიქტი! არავითარი პატრიოტთა ალიანსი არც მნიშვნელოვან კომისიებში, არც მნიშვნელოვან კომიტეტებში, არც დელეგაციებში! მოკლედ, ცოტანი ხართ და მიიჩოჩეთ, – აცხადებს სადღობელაშვილი.

შექმნილ ვითარებაში მას აინტერესებს, სად არის დემოკრატიულობის უმთავრესი პრინციპი და იყო თუ არა გათვალისწინებული ყველას ხმა და მოთხოვნა!!!

– ვეკითხები დემოკრატიის იდეალების მამებს – რატომ არ ითვალისწინებთ საქართველოს მინიმუმ 5% ხმას (ყველამ კარგად ვიცით, რომ სინამდვილეში გაცილებით მეტია, ვიდრე 5%)?! რატომ ეწევა ხელისუფლება მოსახლეობის დისკრედიტაციას? მოსახლეობის ხმას რატომ ბლოკავთ? ეს არის დემოკრატია?! ეს არის პარიტეტული მიდგომა? – კითხულობს ალიანსის წევრი.

შეხმატკბილებულ ნაციონალებსა და მეოცნებეებს სადღობელაშვილი აურზაურს ჰპირდება.

– არ გამოგივათ, ჯიგრებო, არა, ასე შეხმატკბილება და ჟღურტული!!! ჩვენ გვესმის, რომ ფხასავით გყავთ გაჩხერილი პატრიოტთა ალიანსი, თუმცა, რას იზამთ, ისევ თქვენს გადასარჩენად და თქვენი შთამომავლობის გადასარჩენად სწორედ ეს ძალაა აუცილებელი! ყველგან ყველა მნიშვნელოვან კომისიასა თუ დელეგაციაში!!! ყველა საპარლამენტო ჯგუფსა თუ კომიტეტში! ხალხის ხმა აქ არის, ამ პარტიაში და არამცდაარამც ოცნებასა თუ დაზომბილ ნაცმოძრაობაში! – ამბობს ლადო სადღობელაშვილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს უმაღლეს საჯანონმდებლო ორგანოში ღართან დაკავშირებული ვნებათაღელვა გრძელდება.

დეპუტატების რისხვა ამჯერად ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძეს დაატყდა თავს. მისი მისამართით პრეტენზიები საპარლამენტო უმრავლესობასაც ჰქონდა. ამ მხრივ ზაქარია ქუცნაშვილი და რევაზ არველაძე აქტიურობდნენ.

თავის გამოსვლაში გვენეტაძემ განაცხადა, რომ, ლარის გაუფასურების პარალელურად, მთელი რიგი პროდუქცია გაიაფდა. აღნიშნული განცხადება ქუცნაშვილს დაუჯერებლად მოეჩვენა და მან გაიაფებული პროდუქციის ჩამონათვალი მოითხოვა.

– ბატონო კობა, 295 პროდუქციიდან შეგიძლიათ დაასახელოთ რამდენიმე, რომლებიც გაიაფდა ჩვენს სამშობლოში? მე მაინტერესებს, ამ პოლიტიკის წარმოების შედეგად, რომელი პროდუქცია გაიაფდა. მე ძალიან მომწონს თქვენი აკადემიური განათლება. პირადად დაგიჭირეთ მხარი, როცა პრეზიდენტი გახდით, მაგრამ ვატყობ, რომ ამ სიტუაციაში საზოგადოებაში არსებულ დაძაბულ ფონზე აუცილებელია თქვენი რაც შეიძლება პრინციპული პოზიციის ქონა და მეტი გამჭვირვალობა, – მიმართა ქუცნაშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

დეპუტატი გვენეტაძეს სთხოვს, რომ კომერციული ბანკების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დეტალები გააგაჯაროს.

– იქნებ გაასაჯაროთ ის სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც თქვენ ატარებთ წამყვანი ბანკების ხელმძღვანელებთან და ამ შეხვედრების გასაჯაროებით საზოგადოებაში შეიტანოთ მეტი სიცხადე იმის თაობაზე, თუ როგორ მართავს ეროვნული ბანკი ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რადგან დახურულ კარს მიღმა მუშაობა და ბრიფინგები თვეში ერთხელ ვერ შველის საზოგადოებაში დაძაბულობის მოხსნას, ამიტომ აუცილებელია თქვენი გააქტიურება, – აღნიშნა დეპუტატმა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დეპუტატის კითხვას ამომწურავი პასუხი ვერ გასცა, ამასთან, პირობა მისცა, გაიაფებული პროდუქციის ჩამონათვალს ამ დღეებში გაახლებო.

– რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რომელ პროდუქტებზე მოხდა გაიაფება, შემიძლია, დამატებით მოგაწოდოთ ინფორმაცია, მაგრამ, როგორც ვიცი, პურ-პროდუქტებზე იყო დროთა განმავლობაში გაიაფება, ასევე რძის პროდუქტებზე იყო გაიაფება. არსებობს მთელი ჩამონათვალი და შემიძლია, მოგაწოდოთ კიდეც, – მიმართა ქუცნაშვილს გვენეტაძემ.

ზაქარია ქუცნაშვილი: „დაასახელეთ ის პროდუქცია, რომელიც გაიაფდა“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადების მიმართ უნდობლობა ყველაზე ასაკოვანმა დეპუტატმაც გამოხატა. რევაზ არველაძეს ეჭვი აქვს, კობა გვენეტაძე ფასების შემცირებაზე როცა საუბრობს, მხედველობაში საახალწლო ფასდაკლებები აქვს.

– მე არ ვიცი, საიდან ბრძანეთ, რომ ზოგ პროდუქციაზე გაიზარდა ფასი, ზოგზე – შემცირდა. მე ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით. თქვენ თუ საახალწლო ფასდაკლებები გაქვთ მხედველობაში, ეს სულაც არ ნიშნავს რაიმე პროდუქტზე ფასების დაბლა დაწევას. ჩემი შეკითხვა სულ სხვაა – ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ტარიფები, გარკვეულწილად, მიბმულია ლარის კურსზე.

თუ თქვენ იღებთ ვალდებულებას, რომ ფასები სტაბილური იყოს, ვთქვათ, იმავე ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე, ასევე უნდა მიხედოთ იმას, რომ ლარის კურსი იყოს, პირველ რიგში, სტაბილური. რას გამოიწვევს ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე ფასების ზრდა, ეს თქვენთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, – მიმართა არველაძემ გვენეტაძეს.

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა ირმა ინაშვილმა გვენეტაძეს გამბედაობა დაუწუნა. მისი თქმით, ეროვნულმა ბანკმა ან გამოსავალი უნდა იპოვოს, ან მისმა პრეზიდენტმა თანამდებობა დატოვოს.

მან მწარე სიტყვები არც მთავრობის მიმართ დაიშურა და აღნიშნა, რომ ისინი სადღაც სხვა პლანეტაზე არიან.

– ჩვენ მივმართეთ მთავრობას რეკომენდაციით, რომ შეიმუშაოს გეგმა, რათა წლიური საბანკო პროცენტი დაწეული იყოს 3-4%-მდე. დღეს არის კაბალურად დიდი პროცენტი საქართველოში. ჩვენც ვმოგზაურობთ, დავდივართ მსოფლიოში, ვიცით იქ არსებული საპროცენტო განაკვეთები, ვიცით საბანკო მომსახურების არსი და ასეთი მაღალი პროცენტი არსად არ არის. ფიქრობთ თუ არა ამაზე, რომ ამ კრიზისულ სიტუაციაში პროცენტმა დაიწიოს 3-დან 4%-მდე?

იმასაც შეგახსენებთ, რომ არაერთ ქვეყანაში ყოფილა გამოყენებული ეს მექანიზმი, მაგალითად, აშშ-ში და საკმაოდ ეფექტური იყო ეს გზა. ყურადღებით ვუსმენ მთავრობის ეკონომიკური გუნდის გამოსვლებს და მეჩვენება კი არა და ვხედავ, რომ სხვა პლანეტაზე იმყოფებით, – აღნიშნა ინაშვილმა.

კობა გვენეტაძისგან მან არსებული ვითარებიდან გამოსავლის დასახელება მოითხოვა.

– დღეს თქვენ ვერ გვიყვებით და ვერ გვეუბნებით, რაშია გამოსავალი. საუბრობთ ფინანსურ სტაბილიზაციაზე, მაგრამ საუბრობთ თეორეტიკოსის პოზიციიდან და ჩვენ თეორიები ვერ გვიშველის. თქვენ რომ ფინანსურ სტაბილურობაზე ლაპარაკობთ, ქვეყანა გაქვთ თავზე დანგრეული, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, აქვს ეროვნულ ბანკსა და მის პრეზიდენტს.

არ მინდა მაღალფარდოვანი სიტყვები და ციფრების ბრახაბრუხი, მოკლედ გვითხარით, რაშია გამოსავალი და როგორ დაასტაბილურებთ ლარს მოკლე ხანში? ან გეყოთ ვაჟკაცობა და ღიად უთხარით მოსახლეობას, რომ ლარი ავა სამამდე, ან გადადექით და წადით, – მიმართა ირმა ინაშვილმა კობა გვენეტაძეს.

ქვეყნის მთავარ ბანკირს პოლიტიკური ქოქოლა დეპუტატმა ადა მარშანიამაც დააყარა. ეროვნული ბანკის საქმიანობით უკმაყოფილო კანონმდებელს კომერციული ბანკების მიმართაც აქვს პრეტენზია და მათ ხალხის გატყავებაში ადანაშაულებს.

– გასაგებია, კარგი წარმოდგენა გვაქვს უკვე, რას წარმოადგენს ეროვნული ბანკი დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში და მისი ხელმძღვანელიც როგორი პრინციპული ადამიანია, კარგად დავინახეთ. ბატონო კობა, თხოვნაა, რომელსაც თქვენ, ალბათ, არ გაითვალისწინებთ, რომელიც ძალიან ცუდ შედეგამდე მიგიყვანთ.

უკეთესია, კომერციულ ბანკებს თქვენ დეტალური ინსტრუქცია გაუგზავნოთ იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ასეთი ბანდიტური თავდასხმა და მოსახლეობის გატყავება, – აღნიშნა მარშანიამ.

* * *

კობა გვენეტაძის გარდა, დეპუტატებმა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძეზეც მიიტანეს იერიში. ამ ფრონტზე განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობა აქტიურობდა.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე განსაკუთრებით მთავრობის ტყუილებით არის აღშფოთებული.

– მთავრობა ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად არის, ამ ფონზე კი ლარი უფასურდება. ამით მომავლის იმედს კლავთ. ე.ი. არაფერი გამოსწორდება. თქვენ ამბობთ, რომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ უარესობა ხდება. გამოსავალი იმის თქმა კი არ არის, რომ ყველაფერი კარგადაა. მოსახლეობა უარესობას გრძნობს და ეს გაიაზრეთ. თუ ყველაფერი კარგად არის და ქვეყანაში მაინც ყველაფერი ცუდისკენ მიდის, მაშინ დავლუპულვართ, – მიმართა ბაქრაძემ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს.

დეპუტატის ტონი ფინანსთა მინისტრის მოადგილეს არ მოეწონა და არც ის ბრალდება გაიზიარა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება რამეს ამტკიცებს.

– საქართველოს მთავრობა არაფერს ამტკიცებს, საქართველოს მთავრობა მონაცემებით ხელმძღვანელობს, – ჩააზუსტა კაკაურიძემ.

მისი მისამართით ყველაზე რადიკალური რომან გოცირიძე იყო. მან წარსულში ჩადენილი ცოდვები გაიხსენა და კაკაურიძე დააშინა, ასე თუ გააგრძელებ, ცხვირი გაგეზრდებაო.

გოცირიძის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრო არასწორ პოლიტიკას ატარებს, ხოლო საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

დეპუტატის თქმით, ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხების ხარჯვა ნაადრევად დაიწყო.

– თქვენ ისევ მოიტყუეთ. რამდენჯერ გითხარით, რომ მატყუარა ხართ. მეც ვიტყუებოდი ახალგაზრდობაში და ხომ ხედავთ, ცხვირი გრძელი მაქვს. თქვენც ძალიან დაგიგრძელდებათ. მერე ვისწავლე ჭკუა და, ხომ ხედავთ, დაფიქსირდა... თქვენ თქვით, რომ ახლა მეტი ფული ამოიღეთ და სახაზინო ვალდებულებებით ფულის მასა არ გაზარდეთ.

დღეს მართლაც გადააჭარბა ძველ ნაშთებს ახლად არსებულმა ნაშთებმა, მაგრამ როდის გადააჭარბა? გადააჭარბა 3 დღის წინ, როდესაც თქვენ აზიის განვითარების ბანკისგან 100-მილიონიანი კრედიტი მიიღეთ და ფული ჩაგერიცხათ 250 მილიონი ლარი, თუმცა, სანამ ეს ჩაგერიცხებოდათ, 400 მილიონი გარღვევა გქონდათ, – მიმართა დეპუტატმა მინისტრის მოადგილეს.

გოცირიძის გაფრთხილება გულთან ახლოს არ მიუტანია კაკაურიძეს. მას არც ცხვირის გაზრდის ეშინია.

– არცერთი ის ინფორმაცია, რომლებიც წარვადგინე, არ არის სიცრუე, – ასე უპასუხა რომან გოცირიძის კრიტიკას გიორგი კაკაურიძემ.

გულიკო ბალაძე

ვახტანგ მაისაია: „სირიაში ისლამური ხალიფატი გაძლიერდა“

მსოფლიოს ყურადღება სირიისკენ არის მიმართული. სირიაში ასადურ-რუსულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა ქალაქი ალეპო აიღეს და დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი დემოკრატიული ძალები დაამარცხეს, შედეგად კი საშინელი ჰუმანიტარული კატასტროფის მოწმენი გავხდით.

ალეპოში მომხდარს „ახალ თაობასთან“ აფასებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია.

– ბატონო ვახტანგ, რა მოხდა ალეპოს აღებით?

– ალეპოს აღებით დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი დემოკრატიული ძალები დამარცხდნენ, თუმცა ამ დაპირისპირებით მოიგო ისლამურმა სახალიფომ, განახორციელა შეტევა და დაიბრუნა პალმირა. რუსებმა ალეპოში განახორციელეს დიდი მხეცობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. საკმაოდ დიდი მსხვერპლია.

– რუსეთს რა მიზანი აქვს, უნდოდა, ისლამური სახალიფო გაეძლიერებინა?

– რუსეთს უნდოდა, ასადის რეჟიმისთვის შეექმნა ძლიერი პოზიციები, ეს რეჟიმი ყოფილიყო ერთადერთი ძალა სირიაში და საერთაშორისო სამართლის სუბიექტადაც დარჩენილიყო.

– დასავლეთისთვის იმთავითვე ხომ იყო ცნობილი, რომ რუსეთი არ უტევდა ისლამურ ხალიფატს და იბრძოდა ასადის ოპოზიციის წინააღმდეგ?

– ეს არაერთხელ თქმულა, არაერთხელ დადასტურებულა და ალეპოს აღებამაც დაადასტურა, თუმცა არც

რუსებმა და ასადის რეჟიმმა დათმეს პოზიციები ისლამური ხალიფატის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, როდესაც განახორციელეს შეტევა, ისინი დამარცხდნენ, ანუ რუსულ-სირიული კოალიცია დამარცხდა ხალიფატის წინააღმდეგ. ასევე რუსულ-სირიულმა კოალიციამ დაამარცხა დასავლური ძალები, თვითონ კი დამარცხდა ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში.

– რუსეთის მიზანი აღარ არის ისლამური ხალიფატის განადგურება თუ, უბრალოდ, ძალას იკრებს და მომავალში შეიძლება შეუტიოს ისლამურ ხალიფატს?

– ადრე ისინი ცდილობდნენ, დაემარცხებინათ დემოკრატიული ოპოზიცია, რომელიც ასადის რეჟიმს უქმნიდა რეალურ სამხედრო საფრთხეს.

– ამ შემთხვევაში ისლამური ხალიფატი გაძლიერდა?

– ასე გამოდის. მათ დიდი ოდენობით შეიარაღება ჩაიგდეს ხელში, მათ შორის, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები.

– დასავლეთი ქალაქ მოსულზე დიდ შეტევას ახორციელებდა.

– დიახ, შეტევას კოალიციური ძალები ახორციელებდნენ. მოსულზე შეტევაც ჩაიფუშა, მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს წარმატებით კონტრშეტევაზე გადასვლა და კოალიციური ძალების დებლოკირება. დასავლური კოალიცია დამარცხდა ისლამურ სახალიფოსთან, თუმცა მთავარია, რომ ქალაქი მოსული აღებული არ არის. ეს არის რეალობა, რომელიც შეიქმნა დღეს სირიაში.

– ეს რეალობა იმანაც ხომ არ განაპირობა, რომ ამერიკაში იყო არჩევნები, რომელშიც ის პარტია დამარცხდა, რომელსაც წარმოადგენდა დღეს არსებული ადმინისტრაცია?

– ეგეც იქნებოდა, მაგრამ ძირითადად იმის ბრალი იყო, რომ ოპერაცია ჩატარდა ნაჩქარევად, ჯეროვანი კოორდინაცია არ იყო და მართვის სისტემაში სერიოზული ჩავარდნები ჰქონდათ. ამანაც განაპირობა დღევანდელი სიტუაციის შექმნა.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ეს რუსეთისა და ასადის დროებითი წარმატებაა?

– შეიძლება ვთქვათ, რომ ასეა. ისინი ხალიფატთან ბრძოლაში დამარცხდნენ.

– თუ რუსულ-ასადურმა კოალიციამ მყარი პოზიციები შეიქმნა ალეპოს აღებით?

– მყარი პოზიციები ვერ შეიქმნეს, რადგან წააგეს ისლამურ სახალიფოსთან ბრძოლაში. ეს არის ფაქტი. პირიქით, მათი პოზიციები შესუსტდა.

– მომავალში დასავლური კოალიცია – ევროპული ქვეყნები და ამერიკა ისლამური სახალიფოს წინააღმდეგ ერთიან ბრძოლას გააგრძელებენ?

– გააგრძელებენ, მაგრამ ეს იქნება არაკოორდინირებული და დაქსაქსული, რაც, სამწუხაროდ, არავითარ შედეგს არ მოიტანს.

– ალეპოში არანაირი ოპოზიცია აღარ დარჩა, ხომ?

– ძალიან მცირე. პრინციპში, ალეპო აიღეს და აკონტროლებენ რუსულ-სირიული კოალიციური ძალები.

– 600-მა მებრძოლმა დატოვა ალეპო. კერის განცხადება იყო, გმობდა ალეპოში მომხდარს.

– დაგმობის იქით საქმე არ წავიდა. დანარჩენი არაფერი ისეთი არ ხდება – დასავლურმა კოალიციამ სირიულ-რუსულ კოალიციას რეალური წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

– დასავლეთი სათანადოდ ვერ დაეხმარა ე.წ. დემოკრატიულ ძალებს?

– ასე გამოდის, ფაქტი ფაქტად რჩება.

– მხარეებს შეიარაღება როგორი ჰქონდათ?

– ასადის რეჟიმი უფრო კარგად იყო შეიარაღებული რუსული შეიარაღებით, ბევრად სჯობნიდა ოპოზიციურ ძალებს.

– დემოკრატიულ ძალებს დასავლეთმა რატომ არ მიაწოდა იარაღი?

– არ ვიცი. ალბათ, ვერ შეძლეს ამის გაკეთება. მხოლოდ პოზიციის ღიად დაფიქსირებამ ვერ უშველა, რადგან რუსეთმა დიდი ფსონი დადო ამ მიმართულებით.

– ანუ დასავლეთი ღიად ფიზიკურ მხარდაჭერას ვერ ახერხებდა, რუსეთი კი პოზიციას ღიადაც აფიქსირებდა, კიდევაც აიარაღებდა და ფიზიკურადაც იბრძოლა ბოლომდე ასადის გვერდით.

– დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით.

– რუსეთისთვის ეს პრესტიჟის ბრძოლები ხომ არ იყო?

– ეგეც იყო, ბუნებრივია.

– პროგნოზმა გაიჟღერა, რომ 2017 წელს ელოდებიან ნატოსა და რუსეთის რეალურ დაპირისპირებას.

– დაპირისპირება ახლა არის და მომავალში უფრო გართულდება. ამაზე დიდი დაპირისპირება რა უნდა იყოს. ამაზე დიდი დაპირისპირება შეიძლება იყოს შეიარაღებული დაპირისპირება.

– პროგნოზში მინიშნებით მოსალოდნელ შეიარაღებულ დაპირისპირებაზე იყო საუბარი.

– სავსებით შესაძლებელია, რუსეთსა და ნატოს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდეს.

– იმ ქმედებებიდან გამომდინარე, რომლებსაც რუსეთი ჩადის, ვთქვათ, იმავე ალეპოში?

– რა თქმა უნდა.

– ისლამური ხალიფატის დამარცხება რომ ვერ შეძლონ, რა რეალობა შეიძლება შეიქმნას იმ სივრცეში, სადაც დღეს ომია გაჩაღებული?

– აღმოსავლეთში კიდევ უფრო გართულდება სიტუაცია, სირიაში, მით უმეტეს და ხანგრძლივი, გაჭიანურებული კონფლიქტის სახეს მიიღებს.

ჯონდი ბაღათურია: „მთავრობას ვურჩევ, არ გააძვიროს აქციზის გადასახადი საწვავზე“

გულიკო ბალაძე

„ქართული დასის“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხელისუფლებას ურჩევს, საწვავზე აქციზის გადასახადს ნუ გააძვირებს, რადგან ეს მომავალი წლის თებერვალ-მარტში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს შექმნის.

– ბატონო ჯონდი, პარლამენტმა 2017 წლის ბიუჯეტის კანონი მიიღო, რასაც თან ახლდა ვნებათაღელვა. რთული ვითარებაა ლარის დევალვაციის გამო. თქვენი შეფასებები როგორია?

– ჩემი აზრით, მთავრობამ ბოლო პერიოდში რამდენიმე სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, რაც ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს მომავალი წლის თებერვალ-მარტში. საკმაოდ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ფონს შექმნის.

– რა სტრატეგიულ შეცდომებზე საუბრობთ?

– ხელისუფლების პირველი შეცდომაა სანვავზე აქციზის გაზრდა, რაც ავტომატურად გამოიწვევს ყველა პირველადი მოხმარების პროდუქტზე ფასების ზრდას. ეს მძიმედ დაარტყამს, ერთი მხრივ, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მეორე მხრივ კი ეს არის გაზრდილი დატვირთვა ლარზე. ლარს კიდევ უფრო დაასუსტებს.

ხელისუფლებამ ასევე დაუშვა შეცდომა და არ შეამცირა ხელისუფლების შენახვის ხარჯები ბიუჯეტში. შეეძლო, ხელისუფლების შენახვის ხარჯები შეემცირებინა და 500-600 მილიონი დაეზოგა. პირიქით, ხარჯებს ზოგავს მოსახლეობის ხარჯზე.

ერთადერთი შესრულებული პირობა და ერთადერთი წარმატებული პროექტი, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა, ჯანდაცვის რეფორმაა. როგორც ვატყობ, ჯანდაცვის რეფორმა შეჩერებული იქნება.

– აცხადებენ, რომ პროგრამა არ შეჩერდება და ის ადამიანი მიიღებს ამ პროგრამით მომსახურებას, რომელსაც თვითონ არ შეუძლია ხარჯების დაფარვა.

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ახალი წლის შემდეგ მუშაობას შეაჩერებს. ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ხელისუფლება უბრუნდება ნაცმოძრაობის დროინდელ ჯანდაცვის პროგრამას, რაც არის წარუმატებელი პროგრამა და ცუდი წარსული.

– რას გულისხმობთ?

– ხელისუფლება ახლა აწესებს რაღაც კრიტერიუმებს, ვინ იქნება უფასო ჯანდაცვის პროგრამის მომხმარებელი და ვინ – არა. ასეთი კრიტერიუმები ხელისუფლებას დაწესებული აქვს სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვედრასთან დაკავშირებით და დაახლოებით 600 ათასი ადამიანი რეალურად ღატაკია და სიღარიბის მიღმა იმყოფება, მაგრამ ვერ იღებს სტატუსს და დახმარებას სწორედ ასეთი კრიტერიუმების გამო.

ხელისუფლება ამგვარ კრიტერიუმებს ჯანდაცვაშიც მიიღებს, მიაბამს რაღაც შემოსავლებზე, რომელიც მოსახლეობას არ გააჩნია. მერე ადამიანს მოუწევს იმის მტკიცება, რომ არ არის მდიდარი, ღატაკია. ხელისუფლება უბრუნდება ნაცმოძრაობის დროინდელ პროგრამას. ათასობით ადამიანი ვერ იღებდა ჯანდაცვის სათანადო დაფინანსებას. ეს არის პროგრესი და წინ გადადგმული ნაბიჯი?!

– მთავრობას აქციზის გადასახადი საწვავზე და კიდევ სხვა მიმართულებით რომ არ დაეწესებინა, რით უნდა შეევსო ბიუჯეტი, რაც დააკლდა მოგების გადასახადის ბიზნესში დატოვებით?

– გეთანხმებით, მთავრობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა კომპანიები, რომლებიც მოგების გადასახადს საქართველოს ეკონომიკაში ჩააბრუნებენ, გაათავისუფლოს მოგების გადასახადისაგან, თუმცა ამას მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილება, აქციზის გადასახადის გაზრდა, რომელიც წინა კარგ გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გაანულებს.

– როგორ?

– პირველ ეტაპზე მოგების გადასახადისგან კომპანიების გათავისუფლებას მოჰყვება საბიუჯეტო დანაკლისი, დაახლოებით 500-600 მილიონი ლარის ოდენობით. ამ დანაკლისის შევსების ორი გზა არსებობდა. ერთი, ხარჯების შემცირება და ხელისუფლების ფუფუნებისა და კომფორტის ხარჯების გამოკლება, მეორე – გადასახადების გაზრდა.

ხელისუფლებამ მეორე გზა აირჩია – ცუდი გზა – გააძვირა გადასახადები. ერთი მხრივ, ხელისუფლებამ თითქოს ეკონომიკაში ფული ჩააბრუნა (500-600 მლნ), რაც ცოტა არ იქნება, ჩვენს ეკონომიკას ნამდვილად წაადგებოდა, მაგრამ მეორე ხელით ეკონომიკიდან ეს ფული ამოიღო ყველაზე ცუდი ფორმით, აქციზის გადასახადების გაზრდით. ფული ამოიღო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯიბიდან, რადგან ყველაფერი გააძვირა.

– სანვავზე რომ არ გააძვიროს აქციზის გადასახადი და სხვა მიმართულებით გააძვიროს, მისაღები შედეგი იქნება?

– მთავრობას აქციზი რომ გაეძვირებინა, ვთქვათ, ხიზილალასა და ფუფუნების საგნებზე, იტყოდა, მდიდრებისგან ვიღებ ფულსო, თან პირდაპირ ღარიბ მოსახლეობას არ დაარტყამდა. სანვავზე აქციზის გაძვირება ნიშნავს იმას, რომ პური, შაქარი და სხვა პროდუქტები გაძვირდება. ვის ატყუებენ, თებერვალ-მარტში იქნება სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი.

– ამ შემთხვევაში ბიზნესი ეკონომიკაში ფულს აღარ ჩადებს, რადგან მთავრობამ აქციზის გადასახადი გაზარდა?

– ვინც არ ჩადებს ეკონომიკაში ფულს, მას მოგების გადასახადი არ მოეხსნება. გათავისუფლდება ის კომპანია, რომელიც ეკონომიკას დააფინანსებს. სანვავზე აქციზის გადასახადის გაზრდამ შეიძლება კომპანიებს მოგება შეუმციროს, რადგან თვითღირებულება გაიზრდება. ამიტომ იმ ფულის რაოდენობა, რომელიც ეკონომიკაში უნდა ჩაბრუნდეს, შემცირდება.

– მთავრობა ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილებები შეთანხმებულია ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან.

– ამაში დარწმუნებული ვარ. სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს რა ედარდება, ქვეყანა თუ გაკოტრდება კიდევ უფრო კარგია მათთვის, რადგან გაკოტრებულ ქვეყანაში უფრო სწრაფად მდიდრდებიან ისედაც მდიდარი ადამიანები. საერთოდ, მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი ხომ ქვეყნების გაკოტრების ხარჯზე მდიდრდებიან. მთავრობის გადაწყვეტილებები მსოფლიო ბანკმა რომ მოიწონა, ეს არაფერს ნიშნავს.

– თუმცა ხელისუფლება იმედიანადაა. პრემიერი იღებს პასუხისმგებლობას ყველაფერ იმაზე, რაც ხდება. აცხადებს, რომ 2012 წლის შემდეგ ლარის დევალვაცია მოხდა, მაგრამ აქვთ გეგმა, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს. თქვენ არ ფიქრობთ, რომ მათი გეგმა გაამართლებს?

– რომელიმე ხელისუფლება თუ გინახავთ, რიტორიკის დონეზე იმედიანად რომ არ იყოს, თქვას, რომ რაღაც შეეშალა? მე საქართველოში ასეთი ხელისუფლება არ მინახავს.

– პრემიერმა ისიც თქვა, ძალიან ადვილია პოლიტიკური ქულების ჩაწერაო, თუმცა არ უთქვამს, კონკრეტულად ვისი მისამართით თქვა ეს.

– ამაში პრემიერ-მინისტრს ვეთანხმები. ნამდვილად ადვილია ხალხის გაჭირვების ფონზე სპეკულაცია და პოლიტიკური ქულების დაწერა. ამას ნამდვილად აკეთებს ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ კვირიკაშვილს ამაში ვეთანხმები, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობამ შეცდომა შეცდომაზე დაუშვას. ვიღაც რომ სპეკულანტობს, ცუდია. ვხედავ კიდეც, ვინც ამას აკეთებს, მაგრამ მთავრობამ და პრემიერ-მინისტრმა არ უნდა დაკარგონ სპეკულაციური ხმაურისა და რჩევის გარჩევის უნარი, რომელიც შეიძლება ხალხს, სახელმწიფოსა და მთავრობას გამოადგეს.

– თქვენ რას ურჩევდით, მთავრობის ხარჯების შემცირება საქმეს უშველიდა?

– მთავრობას ვურჩევ, არ გააძვიროს აქციზის გადასახადი საწვავზე და გააძვიროს სხვა მიმართულებით.

აფხაზეთი: ოპოზიციამ თანამდებობები მიიღო

მარიამ მჭედლიშვილი

ვიცეპრემიერის, გენპროკურორის პოსტები, ადგილები საკონსტიტუციო სასამართლოსა და აფხაზეთის ცესკოში, უწყებების ხელმძღვანელების მოადგილეები – ესაა აფხაზეთის საოკუპაციო ხელისუფლებასა და საპროტესტოდ ქუჩაში გამოსული ოპოზიციის შეთანხმების შედეგი. ოპოზიცია ამ თანამდებობებს დაიკავებს.

პროგნოზების მიუხედავად, 15 დეკემბერს სოხუმის ცენტრში ერთმანეთის პარალელურად გამართულ საპროტესტო აქციებს არც სისხლისღვრა და სახელმწიფო გადატრიალება მოჰყოლია და არც პრეზიდენტ ხაჯიმბას ლიკვიდაცია. როგორც ცნობილია, ამ დღეს ოპოზიციის თავყრილობის გარდა, ხაჯიმბას მომხრეებიც შეიკრიბნენ. 14-საათიანი ოპოზიციური „სახალხო შეკრება“ მშვიდობიანად დამთავრდა. აქციის დროს მიმდინარე ოპოზიციისა და ხელისუფლების რამდენიმე შეხვედრა საბოლოოდ კომპრომისით დასრულდა.

შემოთავაზებული წინადადებების ნაწილი ოპოზიციის ინიცირებულია. ოპოზიციური ძალების ბლოკმა ისინი პარლამენტის სპიკერატთან შეხვედრისას 15 დეკემბრამდე გაახმოვანა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ოპოზიციას განუმარტეს, რომ მისი მთავარი მოთხოვნა რაულ ხაჯიმბას გადადგომის შესახებ არ დაკმაყოფილდება. მაშინ ოპოზიციამ მოითხოვა ეკონომიკური ბლოკის უწყებების ფორმირების უფლება, ასევე გენპროკურორის პოსტი და 2 ვაკანტური ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოში.

საბოლოო შეთანხმებით, ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა, ოპოზიციონერებს დაუთმოს ვიცეპრემიერის თანამდებობა, გენპროკურორის პოსტი, 2 მოსამართლის ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოში და 4 ადგილი ცესკოში.

გარდა ამისა, ხაჯიმბა მზადაა, შეიზღუდოს უფლებამოსილებები. საუბარია იმაზე, რომ მას პარლამენტის გარეშე აღარ ექნება პრემიერის გადაყენების უფლება.

– პარლამენტის სპიკერი გამოვიდა პრეზიდენტის კომპრომისული წინადადებების რეალიზაციის გარანტად, – აღნიშნა ოპოზიციური ძალების ბლოკის თანათავმჯდომარემ, ფონდ „აპრას“ ხელმძღვანელმა ასლან ბჟანიამ.

ბოლოდროინდელ პროცესებში ჩართული იყო კიდევ ერთი მხარე – პარტია „ედინაია აბხაზიას“ ლიდერი სერგეი შამბა. მისი შეფასებით, პრეზიდენტმა და ოპოზიციამ მიაღწიეს თანხმობას პოლიტიკური სტაბილიზაციის მიზნით.

რამდენიმე თვის წინ ექსპერტები შამბას ასახელებდნენ ხაჯიმბას პოტენციურ შემცვლელად, ბოლო დროს კი ოპოზიციის ერთ-ერთ მთავარ ლიდერად წარმოჩნდა ასლან ბჟანია. სოჭში მისმა დაკავებამ და რამდენიმე დღეში გამოშვებამ იგი უფრო პოპულარული გახადა.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ ხაჯიმბას გადადგომა მოითხოვა, აფხაზეთში უფრო აქტუალური გახდა რუსეთიდან ფინანსური დახმარების მიღების საკითხი. რაულ ხაჯიმბამ ბოლოდროინდელი მოვლენების დროს არაერთხელ განაცხადა, რომ მისი თანამდებობაზე ყოფნა აუცილებელია იმისთვის, რომ არ შეფერხდეს ფინანსური, საინვესტიციო პროგრამების განხორციელება და რუსეთიდან დახმარება.

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ნამდვილი სურვილი რუსეთიდან აფხაზეთში შემოსული რუსული ტრანშების გაკონტროლებაა.

ანალიტიკოსმა ანტონ კრივენიუკმა 15 დეკემბრის აქციებამდე განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ წელს ვერ აითვისა ფული, რომელიც უნდა მოხმარდეს საინვესტიციო პროექტებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფარგლებში. ეს პროგრამა 2015-2017 წლებს მოიცავს.

მისი აზრით, აუთვისებელი ფული, 6 მილიარდზე მეტი რუბლი, მომავალ წელს უნდა დაიხარჯოს. ოპოზიციას უნდა ამ ფულის გაკონტროლება და ეკონომიკური თანამდებობები.

შეძლებს თუ არა ოპოზიცია ვიცეპრემიერის თანამდებობის საშუალებით ამ თანხების გაკონტროლებას, მომავალი აჩვენებს.

რამდენიმე დღის წინ რუსეთმა გაამკაცრა კონტროლი აფხაზეთის საინვესტიციო პროექტებზე. აფხაზეთშიც აღიარებენ, რომ რუსეთიდან შემოსული თანხების მიზნობრიობა სათანადოდ ვერ კონტროლდება.

გარდა ამისა, აფხაზური მხარე ვერ ახერხებს დოკუმენტების წარდგენას საინვესტიციო პროექტებისთვის საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის კუთხით.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

დაიმატეთ განვადება წინასწარ

10 წამში

შეავსეთ მარტივი ფორმა და გაიგეთ რა ლიმიტის ფარგლებში
დაგიმტკიცდებათ განვადება

ეწვიეთ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებს და
შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია
განვადების სტენდზე

ნონა ცაბაძე

ლია ელიავა: „საქართველოდან კაპიტალი გარბის“

„ლარის მცურავი კურსი ქვეყნისთვის დამღუპველია“

„ახალი თაობის" ჯითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლია ელიავა პასუხობს.

– ქალბატონო ლია, ეკონომიკური ფონი მძიმეა. რა სჭირს ლარს და თუ არის საშველი?

– ლარი იღუპება და საშველი არ არის! ძალიან მძიმე ფონია. ლარის ვარდნა არ არის დამოკიდებული საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. ეს არის წმინდა წყლის სპეკულაციური ვარდნა.

– რას გულისხმობთ?

– კომერციული ბანკების გაზრდილი მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რაც განაპირობებს ლარის კურსის ვარდნას, არის განპირობებული იმით, რომ ქვეყნიდან გარბის კაპიტალი. გადის როგორც ბიზნესმენების, ასევე ფიზიკური პირების, კერძო სექტორის კაპიტალი და ამ კაპიტალის მომსახურებას არის გადაყოლილი როგორც კომერციული ბანკები, ასევე მთელი ჩვენი საქართველოს ეკონომიკა. ქვეყანაში არის საკმაოდ კრიზისული მდგომარეობა, უცხოური კაპიტალი ვეღარ პოულობს აქ თავისი რეალიზების გზებს.

– ეს რამ განაპირობა?

– ამ პროცესს ხელი შეუწყო შეერთებული შტატების მიერ მათი სააღრიცხვო განაკვეთის ზრდამ. მათი დაპირება, რომ 2017 წელს კიდევ სამჯერ გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი, უკვე განაპირობებს იმას, რომ ქვეყნიდან გაიქცევა კაპიტალი და მართლაც ასე ხდება.

ეს პროცესი ხდება არა მარტო საქართველოში, კაპიტალი გარბის სხვა განვითარებადი ქვეყნებიდანაც. ოღონდ საქართველოში ამ კაპიტალის გაქცევა პირდაპირ აისახება ჩვენი ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

ლარის კურსის დადგენის მეთოდოლოგიას აქვს მახინჯი ფორმა. უკვე რამდენი წელია, ამას ვამბობ, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა შეცვალოს ლარის კურსის დადგენის მეთოდოლოგია, რომ იგი არ იყოს დამოკიდებული სპეკულაციურ პროცესებზე, ვინაიდან ჩვენი საფინანსო ბაზარი არის განუვითარებელი.

– არსებობს იმის ბერკეტი, რომ სახელმწიფომ შეაჩეროს კაპიტალის გაქცევა ქვეყნიდან?

– არა, კაპიტალის გადინების შეჩერების ბერკეტი საქართველოს არ აქვს. ხელოვნურად მისი გატანის აკრძალვას ძალიან ცოტა ქვეყანა თუ აკეთებს. თუმცა შესაძლებელია ამ კაპიტალის გატანის დანაწევრება. ერთბაშად რომ არ იქნეს გატანილი და გაწერილი იყოს რამდენიმე დღეზე ან ორ-სამ კვირაზე რამდენიმე მილიონი დოლარის გატანა. ამის გაკეთება მარტივადაა შესაძლებელი და ამას ბევრი ქვეყანა აკეთებს. ჩვენი ქვეყნიდან კაპიტალი კიდევ ერთი მიზეზის გამო გარბის.

– რა მიზეზის?

– ეს არის ეროვნული ბანკისა და მთავრობის არაადეკვატური რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე.

– რას გულისხმობთ?

– 2015-2016 წლებში საქართველოში მძვინვარებს სავალუტო კრიზისი. ამ კრიზისზე არ რეაგირებს ადეკვატურად არც ეროვნული ბანკი, რომელსაც შეუძლია ამ სიტუაციის მოთოკვა და არც მთავრობა, რომელიც სახავს ლარიზაციის გეგმებს, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ სავალუტო კრიზისი არ არის ალაგმული.

– არასწორი პოლიტიკაა ლარიზაცია, რომელიც ხელისუფლების მიერ იქნა გაჟღერებული?

– რა თქმა უნდა! ეს ნაადრევია, რადგან ქვეყანა არის კრიზისულ მდგომარეობაში. თვითონ ლარიზაცია, როგორც ასეთი, ძალიან კარგია, მაგრამ პრობლემები უნდა გადაწყვიტო მათი დადგომის მიხედვით. დაგიდგა სავალუტო კრიზისის პრობლემა, გადაწყვიტე ეს კრიზისი, დაასტაბილურე ეკონომიკა, დაასტაბილურე ფინანსები და შემდეგ გადადი უკვე სხვა ეტაპზე. ამ სავალუტო კრიზისს კი დასტაბილურება ჯერჯერობით არ უწერია. ასევე არაადეკვატურად მოქმედებს ეროვნული ბანკიც.

– რას გულისხმობთ, რა უნდა გააკეთოს ეროვნულმა ბანკმა?

– ეროვნულმა ბანკმა მიუშვა ლარის კურსი იმ მოსაზრებით, რომ კურსი უნდა იყოს მცურავი. საქართველოში, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე, არ შეიძლება მცურავი კურსის არსებობა. ჩვენნაირ ქვეყანაში ეს ყოველთვის იქნება ვარდნითი კურსი და არა მცურავი კურსი, იმიტომ, რომ ქვეყანა არის იმპორტზე დამოკიდებული და ჩვენთან არ არსებობს სრულფასოვანი ფინანსური სექტორი. ის ჯერ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამას ასევე ემატება ის გარემოება, რომ ლარი, როგორც სრულფასოვანი ვალუტა, ჩვენ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. ეს არის ნახევარვალუტა. რაღაც სუროგატი, რომელსაც საკუთარი კურსი არ შეიძლება გააჩნდეს.

– ის ხომ ეროვნული ვალუტაა?

– კი ბატონო, მაგრამ ლარი არ არის მსოფლიო ვალუტა. ეს არ არის დაგროვების საშუალება, ეს არის ელემენტარულად გადახდის საშუალება. მხოლოდ გადახდის საშუალება კი შეიძლება იყოს არა მარტო ფული, არამედ დახატული, დაბეჭდილი ქაღალდი, რასაც პრაქტიკულად ლარი წარმოადგენს. ასეთ პირობებში მცურავი კურსის რეჟიმის დაშვება არის ძალიან დიდი შეცდომა, ტრაგიკული შეცდომა! ეროვნულმა ბანკმა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ლარის კურსის რეგულირება, როგორც ამას აკეთებდა განვლილი წლების განმავლობაში.

– ანუ?

– ანუ ხარჯავდა სავალუტო რეზერვებს იმისთვის, რომ გაეჩერებინა ლარის კურსის ვარდნა. ტრაბახი იმისა, რომ ჩვენ გაგვაჩნია ამხელა ოდენობის სავალუტო რეზერვები, რომლებიც ყოველწლიურად იზრდება, ძალიან დიდი მოცულობისა გვაქვს და რაღაც ისტორიულ მაქსიმუმებზე იყო საუბარი, სამარცხვინოა!

– დიდი ოდენობით რეზერვები სამარცხვინოა?

– სამარცხვინოა ორი მიზეზის გამო: პირველი. როცა ქვეყანას, როცა ეკონომიკას უჭირს და ამ ფონზე სავალუტო რეზერვები არ გამოიყენება, ანუ დევს მკვდრად. ისმის კითხვა: რატომ?! იმიტომ, რომ ეს სავალუტო რეზერვები გატანილია ქვეყნიდან! ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, წლობით ნაგროვები თანხები, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად, ვალების აღების შედეგად, ეროვნულმა ბანკმა ერთი ხელის მოსმით გაიტანა უცხოეთში და განათავსა გაურკვეველი წარმოშობის კომერციული ბანკების, ათასგვარი ფონდის ფასიან ქაღალდებში!

– რა გამოდის, რომ ეროვნულ ბანკს რეზერვი არ აქვს?

– ფაქტობრივად, ეროვნულ ბანკს დღეს ხელთ არ აქვს ეს სავალუტო რეზერვები, რომ გამოიყენოს ეროვნული ვალუტის გადასარჩენად! რეზერვები უნდა დაბრუნდეს ქვეყანაში და მოხმარდეს ლარის კურსის მხარდაჭერას!

თუ ლარის ვარდნა გაგრძელდა 2017 წელს, ეს გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას ეკონომიკაში. ჯაჭვი როგორია? ლარის კურსი ვარდება, ფასები იზრდება, მოსახლეობა ღარიბდება, შემოსავლები არ იზრდება, მოსახლეობას არ აქვს იმის საშუალება, რომ იყიდოს ბიზნესის საქონელი და მომსახურება, ბიზნესსაც ამ დროს პრობლემები ექმნება, კრიზისში შედის და მთელი ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შევა!

– საკანონმდებლო ასპექტებზე რას იტყოდით?

– ეროვნული ბანკი არის კანონით ვალდებული, რომ უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა. მას პირდაპირ უწერია, რომ მისი მთავარი ამოცანაა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკი ამ ამოცანას ვერ ასრულებს უკვე წლების განმავლობაში. მას ფასების შენარჩუნების უნარი არ აქვს და ის სისტემატურად არღვევს კანონს! ლარის გაცვლითი კურსი მას ოფიციალურად აქვს მიტოვებული და მიგდებული! საქართველოს კონსტიტუციით ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას. ჩვენს ქვეყანაში კი ფინანსური სტაბილურობა დიდი ხანია, აღარ არსებობს!

– გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლებას არ აქვს კრიზისიდან გამოსვლის გზების სწორი ხედვა. თქვენც ასე ფიქრობთ?

– როდესაც რაღაც მოვლენას ვერ დაარქმევ ნორმალურ სახელს, ყოველთვის გაგიჭირდება ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება, მით უფრო, თუ ცოდნა გაკლია ამ გადაწყვეტილებების მისაღებად. მთავრობის ბოლო ნაბიჯებით მე გაოცებული ვარ, რა დროს ლარიზაციაა?! რა დროს ანაბრების კონვერტირების პიარაქციებია?! ქვეყანას, ეკონომიკას გადარჩენა სჭირდება! საჭიროა სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება. ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება. მე ძალიან მიჭირს ასეთი საქციელის ადეკვატურობის შეფასება!

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აღარ აიკრძალება

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აღარ აიკრძალება.

ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ხუციშვილმა განმარტა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტში ცვლილებები შევა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფინანსთა სამინისტროს ინიციატივა განბაჟების გადასახადის მატებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პარლამენტის მიერ აღნიშნული პროექტის განხილვას, როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, საგაზაფხულო სესიის გახსნის შემდეგ აღნიშნული პროექტის განხილვა განახლდება.

